

საბრძოლო

ქართული
ბიზნისი

საერთო გაზეთი გამოცემა 1990 წლის 28 დეკემბერიდან შაბათი, 22 ივნისი 1996 № 56 (281) ფასი 30 თეთრი

მეოთხედწინაღობის და... პანი უმისპროვას პრობლემა



დავით
კაკაბაძე

მანჩესტერიდან

ევროპის მათე ჩემპიონატზე გადამწყვეტი თამაშების დამაგაპაროთი 31 მატჩიდან ჩასატარებელი შეიძლება დარჩა. 16 გუნდიდან რვა უკვე შინ გაბრუნდა, მათ შორის ევროპის ამჟამინდელი ჩემპიონი დანიის ნაკრები (ამ წოდების ტარება დაწინაურდა კიდევ ერთი კვირის მანძილზე შეეძლება) და ევრო-96-ის ერთი უმთავრესი ფავორიტი, იტალიის ერთგული გუნდი.

თუ მძეობი ლაუდრუები და C⁰ ფეხბურთის სამშობლოს ვო-

ვრც ორივე საფეხურს პასის მიძღვნილი ძალა მართალია, მეორე ტაიმში მინდორზე ერთივე გამოვიდა და მეორეც, მაგრამ თანაგუნდელებს ვეღარაფრით უშველეს.

იტალიელთა ჭეშმარიტი ძალა მხოლოდ მესამე მატჩში გამოჩნდა. მათ პირდაპირ თავბრუს დახვეწეს გერმანელებს. ამათი მეკარის, ანდრეას კეკეს საუცხოო თამაში რომ არა (შეხვედრის დასაწყისში ალბულის პენალტის გარდა მან კიდევ არაერთხელ იხსნა თავისი კარი აშკარა ხიფათისგან); მატჩის შედეგი უთუოდ სხვაგვარი იქნებოდა.

ასეა თუ ისე, ამ 0:0-მა და რუსებთან თამაშში ჩეხების მიერ აღებული ქულა მეოთხედწინაღობაში ეს უკანასკნელი გაიყვანა. ტურნირის შემორჩენილი რვა გუნდიდან სწორედ ჩეხეთის ნაკრები ითვლება აშკარა აუტსაიდრად. თუმცა, აქვე იმის გახსენებაც უპრიანი იქნება, რომ შვედების დაწვევამდე სპეციალისტთა უმეტესობა ჩეხებს C⁰ გუნდის უსუსტეს გუნდად მიიჩნევდა.

რაკი სიტუაცია პროგნოზებზე ჩამოვარდა, ბარემ იმასაც ვეჭვით, რომ ლონდონელი ბუქმეიკერები ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად კვლავაც გერმანიას ასახელებენ. მათს კლასიფიკაციაში მომდევნო ადგილი ინგლისს, საფრანგეთს, პოლანდიას, პორტუგალიას, ესპანეთს, ხორვატია და ჩეხეთს.

მეოთხედწინაღობის მატჩებიდან განსაკუთრებულ ინტერესს შაბათის შეხვედრები: ინგლისი — ესპანეთი, საფრანგეთი — პოლანდია იწვევს, რადგან კვირის თამაშებში (გერმანია — ხორვატია და პორტუგალია — ჩეხეთი) თითქმის ყველა ექსპერტი უპირატესობას პირველად დასახელებულ გუნდებს ანიჭებს. და მაინც, ნება მოგვცეთ, ერთხელ კიდევ შეგახსენოთ ძველი საფეხბურთო ჭეშმარიტება — პროგნოზები არასერიოზული საქმეა.

ყველაზე დიდი აქტიურობა ინგლის-ესპანეთის მატჩზეა ატეხილი. თამაშისწინა პერიოდებზე საგანგებო წერილში ზურაბ მუხომია მოგიხსენებთ. აქ კი სხვათა სამზადისზე მოგახსენებთ.

თითოთამაშის დისკალიფიკაციის გამო მეოთხედწინაღობაში მოკლებიან აგრეთვე: გერმანელი თომას შტრუნცი და ჩეხი პაველ ნედვედი. ბერტი ფოგოსი სხვა პრობლემატ აწუხებს: მსუბუქ ტრავმებს უჩივიან მცველები: თომას პელმერი, შტეფან როიტერი და რენე შაიდერი.

ბუქმეიკერებისგან განსხვავებით, თავად ხორვატები იმდენად არიან და ფიქრობენ, რომ გერმანელებთან თამაში არ უნდა გაუჭირდეთ. მათი მწვრთნელი მიროსლავ ბლაჟევიჩი აკი ტურნირის დასაწყისშივე ამბობდა, მეოთხედწინაღობაში გერმანიის ნაკრებთან შეხვედრა გვეუსოსო. რამდენად საფუძვლიანია ხორვატების ოპტიმიზმი, ამასაც მალე შევიტყობთ.

საფრანგეთ — პოლანდიის წყვილში ფავორიტებად ფრანგები ითვლებიან და, თუ აქამდე ჩატარებული მატჩებით ვიმსჯელებთ, საუკესო მართებულადაც თუცა, ზუთაშაბათის გამართულ პრეს-კონფერენციაზე პოლანდიელთა მწვრთნელმა გუს პიდინკმა უკრინალიტები გაგაფრთხილა, ინგლისელებთან დიდი ანგარიშით წაგებულმა მატჩმა არ შეგაცდინოთ, ჩვენი „ჩაოწმება“ დიდი შეცდომა იქნებოდა. პიდინკსავე პარტიციპაციის მიუხედავად, უნდა ვაღიაროთ: პოლანდიელებს ინგლისის სტადიონზე გერმანელებთან არაფერი უჩვეულებათ ისეთი, მათ კომპაგებს ფრანგებთან წარმატების იმედი რომ ჩასახვოდათ.

მეოთხედწინაღობის კიდევ ორი მონაწილის, ჩეხეთისა და პორტუგალიის ნაკრებთა მანქანის შეფასებისას უპირატესობას, ზემოთაც მოგახსენეთ, ამ უკანასკნელთა ანიჭებენ. პორტუგალიელებმა ინგლისშიც დამტკიცეს, რომ ტყუილად არ იწოდებიან „ევროპის ბრაზილიელებად“. ამათი გუნდის ბირთვს მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში ორგზის (1989 და 1991 წლებში) გამარჯვებული ნაკრების წევრები შეადგენენ, რომლებიც მინდორზე უსიტყვოდ უკვე ერთმანეთს.

ჩეხები კი, ინგლისში ერთობ მოკრძალებული გვეგებები რომ ჩამოსულან, ეს ამბავიც მოწმობს: მათ თადამსხმელს ვლადიმირ შმიცერს ფინალამდე ორი დღით ადრე (28 ივნისს) პრადში ქორწილი დაუთქვამს. არადა, სწორედ შეცვლაზე გასულმა შმიცერმა გაუტანა რუსებს მესამე ვილა, რომელმაც ჩეხებს მეოთხედწინაღობის გზა მისცა. ამასთან დაკავშირებით შმიცერის სასიამოვნოდ, წარსულში ჩეხეთის ნაკრების ცნობილმა მოთამაშემ ლადისლავ ვიზეკმა იხუმრა: ვლადიმირს ჩემი პავლინას ცოლად შერთვა რომ ექსპრებოდეს, ამ გოლს არ გაიტანდა.

ვფიქრობთ, მომავალ პანი შმიცეროვას შეუძლია მშვიდად იძინოს: მის ქორწილს გადადებდა არ ეუბნებოდა.

ზურაბ მუხომია

ლონდონიდან



ბედნიერია ქვეყანა, რომელსაც მთელი ისტორიის მანძილზე ფაქტიურად ომი არ წავუვია. სრული უფლება აქვს ზემოდან უკუროს ყველას და თუ ვივლადიურ ინგლისში მცხოვრები ათასი ჯურის ხალხი იღნავდაც ვერ ამჩნევს ამ ქედმაღლობას, დანაშაულის მქონე მთელი ინგლისური გაზეთების რამდენიმე მკითხველს, მაგრამ მე რომ კლემენტის ადგილას ვიყო, ნადავლად ავუკრძალავდი ფეხბურთელებს გაზეთების თუნდაც ხელში აღებას. თუმცა, ვინ იცის, იქნებ კლემენტის შეგარდებმა უკვე ყველაფერი წაიკითხეს და ახლა კორიძის ხარებით არიან გავეშვლები.

— მხოლოდ 2 ათასი ესპანელი გულშე-

— კლემენტე ვერასეროს მიტანდა — განუცხადა პრესას ტური ვენეციის — მე რომ „პარსელონას“ მწვრთნელი ვიყავი, იგი ბილბაოს „ატლეტიკის“ ვეღა სათავეში. მას მერე ახლა პირველად ვეკლავი თუმცა, ესპანელთა მწვრთნელი მარტო ჩემზე არ იყო აღრენილი, საერთოდ, უცნაური კაცია ჩემს შემდეგ „პარსელონაში“ კრეიფი რომ მივიდა, მასაც კრიტიკა დაუწყო და ისე გამოვიდოდა, თითქოს მე მიცავდა.

ამ დროს ესპანელთა ბანაკში სიწყარეა, რომელსაც მხოლოდ მათი თანამემამულე ეურნალისტები არღვევენ. საერთოდ, ესპანურმა პრესამ კრიტიკის ნიადაგი დაატეხა თავს ზაიერ კლემენტეს, თუმცა ამ კაცს მთელი გუნდი გამოეყოფა. იგი რომ თქვა: მეოთხედწინაღობაში ვასედა უფრო კლემენტეს გულითუხის გამიხარდა — ეს კაცი ამდენ ლანძღვას არ იმსახურებსო. ანდონი სუბისარეცამ კი მეტოქის თეკაცზე ისაუბრა: ვენეციის კარიერა გადამიწინა, ის რომ „პარსელონას“ მწვრთნელად დანიშნეს, მე ბილბაოს „ატლეტიკში“ ვიამაზობდი, საიდანაც იმ კრიზისის დროს თავისთან მიმიწვია. მაღან ვწუხვარ, რომ ახლა უნდა მოვევლო და მადლობა ასეთი უმადურობით გადავუხადო.

ვინ არიან ყველაზე ლაბაზი ქალები ესპანეთში?

მატიკვარი დაუბრისპირდება შაბათს 74 ათასი ინგლისელი, საქმე ის გახლავთ, რომ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ თავიდან 7 ათასი ბილეთი შეუკვეთა ევროპის ჩემპიონატის ორგანიზატორებს, შემდეგ კი 5 ათასი უკან დააბრუნა, რადგან ესპანელ გულშემატკივართა უმეტესობამ „უემბლიზე“ წასვლა ვერ გაბედა. მოკლედ, ტრიბუნაზე შედეგი გარკვეულია. მოედანზე კი ცხადია, ტოლ-სწორება იქნება, თუმცა არც ეს ამბავს ინგლისს, „588 წელს სერ ფრენის დრეკმა ორი გემით მთელი, მანამდე უძველესი, ესპანური არმადა ჩაძირა წყალში, შაბათს ბრიტის ველი „უემბლი“ იქნება. სწორედ აქ მოხდება ესპანელთა ხელმეორე ჩაძირვა“ — წერს „სანი“. ასეთი ანალიზებით მხოლოდ ეს გაზეთი როდი გამოირჩევა. „დეილი მირორს“ ესპანელთა ისტორიაში 10 ყველაზე სამარცხვინო დამარცხების ნუსხა მოაქვს და წერს, რომ ბოლო ბრიტთა ამთ 1571 წელს თურქების წინააღმდეგ მოიგესო. მერე მოყვანილია 10 ცუდი რამ, რაც ესპანეთმა ევროპას „აჩუქა“: სიფილისიდან და ინკვიზიციიდან დაწყებული, კორიდიო და კაუდილიო ფრანკოთა დამთავრებული აქვეა 10 ანეკდოტი ესპანელების შესახებ როგორც ჩანს, ინგლისელებს ესპანელი ქალები არ მოსწონთ ნამეტნავად. აი, ორი ნიმუში ანეკდოტებისა: — ვინ არიან ყველაზე ლაბაზი ქალები ესპანეთში? ტურისტები.

— რატომ აქვთ ესპანელ კაცებს უღვაშები? დედაებს რომ დაემთავებინონ, ეს ესპანელთა მავითი, თუნდაც სხვებს დასესხებული, შეეწყვიტოთ და თავად მომავალ თამაშზე გადავიდეთ.

სპეციალისტები, თუმცა კი ზოგბას ასხამენ ინგლისელთა თამაშს პოლანდიასთან, გარაუდობენ, რომ მთელი წარმოსადგენია, შაბათის მატჩიც მასინძობა ასევე მოიგონ. „ქოვენიის“ მწვრთნელი რომ ატყინსონი მიიჩნევს, რომ ინგლისი 2:0-ს მიიგებს და ამბობს: „ნურავინ ელის ასეთივე მოსაგლან მატჩს ერთ ტურნირში ორი ასეთი თამაში თითქმის გამოირიცხვია“.

ამასვე აფრთხილებს ინგლისელებს მათ მიერ გაბითურებული გუს პიდინცი: „ჩვენ არასოდეს ვცდილობთ თამაშის ჩაყვას, ესპანელები კი ამის ოსტატები არიან, ამიტომ ნურავინ ელის ასეთივე“.

პრესის მიერ ცაში აყვანილი ვენეციის, რომლისთვისაც ამ ჩემპიონატზე პირველივე მარცხიანი თამაში ბოლო იქნება ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ორი დღეა უკრინალისტებს არ უშვებს ვარჯიშზე გუშინ ძირითადმა შემადგენლობამ უმწვრთნელი მსუბუქი მოთელვა ჩაატარა, ვენეციის კი ფერდინანდსა და სხვა სათადარიგოებს მეორე მოედანზე ავარჯიშებდა ცნობილი გახდა, რომ ისინი მაგევირად ძირითადში პლანტი გამოვა, არადა, მწვრთნელს ბევრი სოლ კემპსების დაფიქრებას უჩრევს. კაპიტანი კი, თუ ჯანმრთელად იქნა მაინც ადამი იქნება.

როგორც ცნობილი გახდა, პოლ ვესქოინის პერსონალურად ნადავლად უთამაშა, რომელმაც განაცხადა თავს საუკეთესოდ ვერანობ და ვესქოინის ვებს არ ვაგანძრვინებ. არ დაავიწყდეს, რომ ფეხბურთი კონტაქტური სპორტია.

ჯერჯერობით ამ თამაშზე მხოლოდ ესაა. თუმცა არა. თბილისელ ტოტალიზატორის მოთამაშეებისთვის მატჩს ერთი ძვირფასი ცნობა, ოლინდ „პროკოს“ მთლად ნუ დააკვირვენ. დღეს გამოცხადდა, რომ 49 წლის ერთმა ლონდონელმა ქალმა გამოიცილა ინგლის-პოლანდიის მატჩის ანგარიში და 50 გირვანქის სავალსურად 5000 მილიონ ახლა



ანდონი სუბისარეცა

ამ ქალს ინგლისელთა 3:2-ზე აქვს დადებული გვირგვინი თანხა. სიტყვა ტოტალიზატორებზე ჩამოვარდა. „ვილიამ პილმა“, ბუქმეიკერთა ყველაზე ცნობილი კანტიორამ გამოაცხადა, რომ თუ ინგლისი ჩემპიონი გახდება, 5 მილიონ გირვანქას იზარალებს. „ყველაზე კარგი ჩვენთვის ის იქნება, თუ ფინალში ინგლისი და ჩეხეთი შეხვდნენ, პენალტებით ჩეხებმა მოიგონ. მაშინ მაღან დიდ მოგებას ვნახავთ, რადგან ასეთ ვარიანტზე გერ არავის დაუღია ფული“ — თქვა ამ ფორმის წარმომადგენელმა, თუმცა დააყოლა, რომ ასეთ შედეგს ჩვენც კი არ ვუგულშემატკივრებთ, ეს ხომ არაბატარიტული იქნებოდა.

რაც შეეხება „უემბლის“, აქ შაბათის მატჩზე მხოლოდ 2 ათასი ბილეთი დარჩა გასაყიდი, დღეს 6-ის ნახევრადან უშველავალი რიგები დადგა მათ შესამყნად. ეს პრობლემა არ აწუხებს პოლ ვესქოინს, რომელსაც ფინალის მერე დღეს, 1 ივლისს თავის გულფრენდ შერილთან ქორწილს აქვს დაწინაურებული. როგორც გაზეთები იწვევებია, ითხმამათს გაზამ ლონდონის ცენტრში მდებარე მაღასია „პერიონსი“, ევროპაში ყველაზე ძვირი რეზანა, სასატარძლო ტანსაცმელი შეუძინა ჩრქელს.

ბლაჟევიჩი: კაცი, რომელსაც გერმანიის არ ეშინია

ვლად უზმაუროდ დაემშვიდობნენ, პაოლო მალდინისა და მძათა მისთა ინგლისიდან ნაადრევად გაძევაზე ტურნირის კულისის მთავარი სალაპარაკო თემა გახლავთ. უამრავ საფეხბურთო მიმოხილველს შორის იშვიათად თუ ვიციდა ისეთი ერთსულელები, როგორც „სკუადრა ატურას“ წარუმატებლობის მიზეზთა რკვევის დროს ხდება. თუმცა, არა „მიზეზთა“, არამედ მიზეზისა, რადგან იტალიის ნაკრების მარცხს, ჩვენი აზრითაც, ერთადერთი ახსნა აქვს: არიგო საკი.

იტალიელთა მწვრთნელმა, მოგვხსენებთ, ვერ კიდევ ფინალური ტურნირის დასაწყისში გააოგნა საფეხბურთო სამყარო, როცა ინგლისში წასაყვან მოთამაშეთა სიას გულშევიდად გამოაკლო რობერტო ბაჯო, ჯანლუკა ვიალი და გუსტავო სინიორი — ფეხბურთელები, რომლებიც — ნაკრების კაპიტანს, პაოლო მალდინის თუ არ ჩავთვლით — იტალიაში პოპულარობით ცოტა ვინმე თუ შეედრება. მაგრამ მთავარი ეს არ გახლავთ. ბოლოს და ბოლოს, ფრანგების მწვრთნელი ეზე ჟაკეშე შეიძლება უძლიერეს ფორვარდებს, ერთი კანტონას და დაიდო ენიოლას, მაგრამ მისმა გუნდმა აქამდე გამართულ სამივე შეხვედრაში საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა.

არიგო საკის მთავარი შეცდომა მეტოქის, კერძოდ კი, ჩეხეთის ნაკრების შესაძლებლობათა შეუფასებლობა გახლავთ. რუსებთან მოგებულ პირველი მატჩის შემდეგ მან საქმე დამთავრებულად ჩათვალა და ჩეხებს ერთბაშად ხუთი (!) ახალი ფეხბურთელი გაუყვანა. მეტიც: სასატარძლო შემაღლებლობაში ვერ ვიხილეთ ვერც პირველ მატჩში გატანილი ორივე გოლის ავტორი კაზინარეა და

22 ივნისი. ლონდონი. უემბლი. 19:00. ესპანეთი — ინგლისი. მსაჯი მარკ ბატა (საფრანგეთი)			22 ივნისი. ლივერპული. ენფილდი. 22:30. საფრანგეთი — პოლანდია. მსაჯი: მანუელ ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)			23 ივნისი. მანჩესტერი. ოლდ ტრეფორდი. 19:00. გერმანია — ხორვატია. მსაჯი: ლუიჯ სუნდელი (შვედეთი)					
15.V.29	მადრიდი	4:3	აშ.	10.V.08	როტერდამი	1:4	აშ.	15.VI.41	ვენა	5:1	აშ.
9.XI.31	ლონდონი	1:7	აშ.	13.XI.21	პარიზი	0:5	აშ.	18.I.42	ზარგებე	2:0	აშ.
2.VII.50	როი	1:0	მ.წ.	2.IV.23	ამსტერდამი	1:8	აშ.	1.XI.42	შტუტგარტი	5:1	აშ.
18.V.55	მადრიდი	1:1	აშ.	19.XI.31	პარიზი	3:4	აშ.				
30.XI.55	ლონდონი	1:4	აშ.	10.V.34	ამსტერდამი	5:4	აშ.				
15.V.60	მადრიდი	3:0	აშ.	12.I.36	პარიზი	1:6	აშ.				
26.X.60	ლონდონი	2:4	აშ.	31.X.37	ამსტერდამი	3:2	აშ.				
8.XI.65	მადრიდი	0:2	აშ.	26.V.47	პარიზი	4:0	აშ.				
24.V.67	ლონდონი	0:2	აშ.	23.IV.49	როტერდამი	1:4	აშ.				
3.IV.68	ლონდონი	0:1	ე.წ. შეს.	10.XI.50	პარიზი	5:2	აშ.				
8.V.68	მადრიდი	1:2	ე.წ. შეს.	17.IV.63	როტერდამი	0:1	აშ.				
26.II.80	ბარსელონა	0:2	აშ.	26.II.80	პარიზი	0:0	აშ.				
18.VI.80	ნეაპოლი	1:2	ე.წ.	25.II.81	როტერდამი	0:1	მ.წ. შეს.				
25.II.81	ლონდონი	2:1	აშ.	18.XI.81	პარიზი	2:0	მ.წ. შეს.				
5.VI.82	მადრიდი	0:0	მ.წ.	10.XI.82	როტერდამი	2:1	აშ.				
18.II.87	მადრიდი	2:4	აშ.	5.VI.92	იანისი	1:1	აშ.				
9.IX.92	სანტანდრი	1:0	აშ.	18.I.95	უტრეხტი	1:0	აშ.				

კაპალოს ეპონა, საპარტოვლო ინგლისში იქნებოდა



ჩვენი ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მწვრთნელები — ალექსანდრე ჩიკაძე და ვლადიმერ გუცაგაი ინგლისიდან დაბრუნდნენ. მათ იქ ვეროპის ჩემპიონატის პირველი ორი ტურის თამაშები ნახეს. ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელს ინგლისური შთაბეჭდილებების გაზიარება ვიზიტი, თავდაპირველად კი ეს ვიზიტი, რატომ არ დაესწრნენ ჩემპიონატს ბოლომდე — ბოლომდე დარჩენას არც ვაპირებდით. ჩვენი საინტერესო თამაშები ვნახეთ, ვეულისხმობ ჩვენს მომავალ მეტოქეებს — ინგლისსა და იტალიას. თანაც ძალიან გავვიკრიბა — ძველია ყოველდღე 4-5 საათი მატარებლით თუ მანქანით მგზავრობა. ამხაც გადავავსევიტინა შინ დაბრუნება.

როგორი შთაბეჭდილება დატოვებთ თქვენზე იტალიამ და ინგლისმა?
— მოხუცად ვარუმატებლობის, გვიწვი არ არის, იტალიამ ფეხბურთის განვითარების მწვერვალს მიაღწია — ტაქტიკურად, შესრულებით, კოლექტიური თამაშით.

ახეთი ნაკრები, ნების, არ უნდა აგებდნენ. რა იყო იტალიელთა მარცხის მიზეზი?

— ჩემი აზრით, მწვრთნელმა დიდი შეცდომა დაუშვა — მეორე შეხვედრაში, რომელიც იტალიისთვის უმნიშვნელოვანესი იყო, ფეხბურთელები შეცვალა და რუსეთთან მორევე ტაიმში მძლველი ურთიერთგაგება მოედანზე ადარ ჩანდა. დღე პირობა და დღითი დინამიკით და ფეხბურთელები შეცვალა. ამან არ გაამართლა, ამის მიზეზი თავად საკისი და ფეხბურთელთა ზედმეტი თავდაჯერებულობაც იყო. საკი ჩემპიონატის დროს აცხადებდა, ჩვენს 22 თანაბარი ძალის მითამავე გვეყავს და ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, ვინ თამაშებს. ასეც გააკეთა — კაპოლი-ძილა რავანელი-კიკუბათი შეცვალა და არ გაუმართლა. ეს უკანასკნელი კლასით პირველთა მინც ვერ სჯობდა. ჩემთვის წაგებოთ კი, ფაქტურად, ჩემპიონატის ფინალისტად დაიკავია.

ინგლისის ნაკრებზე რას იტყვით?

— საერთოდ, ინგლისურ ფეხბურთზე დიდი აზრის არ ვარ. ცნობილი დისკვალიფიკაციის შემდეგ ისინი ძლიერ ჩამორჩნენ კონტინენტს თუნდაც მათი ტაქტიკა — 4-4-2 ანალოგი, როდესაც მცველები ერთ ხაზზე თამაშობენ. ბევრჯერ ყოფილა, როდესაც ასეთ ტაქტიკაზე ინგლისელები „დაუპირაობ“, თუნდაც ჩვენს „დინამოს“. თუმცა შოტლანდიელებთან შეხვედრაში ვინაობაში ტაქტიკა შეცვალა და 3-5-2 სისტემით თამაშა ნაკრები. მაგრამ შეხვედრის ბედი სწორად ტაქტიკაზე კი არა, მაქსიმალისა და გუნდის ბრწყინვალე თამაშმა გადაწყვიტა. მეკარეებმა პენალტი აიღო და ასე მთელი მესამე შეხვედრაში კი აშკარად უფრო გასაძვირებლად იყვნენ. მოკლედ, ჩვენ ძლიერი მეტოქეები ვყავით.

თქვენი აზრით, ამ ნაკრებების წინააღმდეგ როგორი ტაქტიკა გააბართლებს?

— ეს რა თქმა უნდა, ჩიკაძის კომპლექსი გახლავთ და, რას მოვიტყვებ, მის მეთვლიყვანილს და ფანტაზიას და მოკიკიკილივით მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მე როგორც მწვრთნელი, აზრი არ გამაჩნდეს ინგლისელებთან ბურთის „დაჭერა“ აუცილებელი იქნება, ისევე როგორც ძლიერი ფეხბურთელების მოშორება და დიდი ბრძოლისუნარიანობა. ამ ვეროპის პირველობამ ცხადდა დაგვიჩვენა, როგორი ბრძოლები ჩაიდინა აშკარა აუტსაიდერებსა და ჯგუფის ლიდერებს შორისაც კი.

ფეხბურთი ძლიერ წინ წავიდა — ფეხბურთელები ტაქტიკურად გუნდები შესაძლებლობების მაქსიმუმს ავლენენ და აქ უკვე გადაწყვეტილ სიტუაციას ვარსკვლავები ამბობენ.

საერთოდ, როგორი შთაბეჭდილებებით დაბრუნდით ინგლისიდან?

— ეს რა თქმა უნდა, ფეხბურთის დიდი ზეობა მე პირველად ვესწრებოდი ასეთი რანგის ტურნირის შედეგით. „იტალიის-პორტის“ დახმარებით. „იტალიის-პორტის“ კი ახალგაზრდა დაამარა ურთიერთობა და ძალიან მას, რომ ჩემპიონატზე დასწრების საშუალება მოგვეცა ინგლისის ის ქვეყანა, სადაც იყვნენ საფეხბურთო ზეობის მწვერვალს ვულშემატკვრელები გამორჩეული პეკუს შოტლანდიისთან გადაწყვეტილ თამაშის წინ ორი საათით ადრე ტრიბუნები შეივსო და სიმღერებიც ერთხმად დასცვივნეს. ჩემთვის გაუგებარია, 70 თამაშა კაცმა ამდენი სიმღერა ერთად როგორ ისწავლა. პინის შესრულებაზე ხომ საერთოდ დიდი აკოორტაია ატყდა. პოდა, ამ ნაკრების წარმატებლობა ნამდვილი საცოდაობა იქნებოდა. სხვათა შორის, ჩვენს იქ ყოფნაში არანაირ უწყვეტიობას არ ვადავრევივართ, არადა, ყველამ იცის, რომ ინგლისელი ვულშემატკვრეები ხულიანობით გამოირჩევიან. იქ არაფერი მსგავსი არ გვიჩინავს.

რომელი ფეხბურთელი მოგეწონათ?
— ძალიან მომეწონა საუთგეიტა, მაქსიმალისა და გესქიონი. გესქიონზე ინგლისში ლეგენდები დადის და ბრიტანელებს ფიცი გენიოსად მიანიათ. მათი აზრით, ჩარლტონის შემდეგ ასეთი ფეხბურთელი არც დაბადებულა.

თქვენ როგორია თვლით, მართლა გენიოსია?

— ცხადია, დიდი ფეხბურთელია, მაგრამ ამ ჩემპიონატისთვის ისე ვერ მოეშალა, როგორც შეეძლო ვიამაშა თანაც ზედმეტი წონა ხელს უშლის. გესქიონი პირველ შეხვედრაში რომ გამოცვალავს, ერთი კვირის მანძილზე პრესითა და ტელევიზიით კენკიბლზის ღანძრავინება არ შემეწყდარა. შოტლანდიელებთან თამაშითა და ბრწყინვალე გოლით გახამ დაამტკიცა, რომ კენკიბლზი შეცვლა.

იტალიელებზე არაფერი გითქვამთ...

— ეს ხომ საერთოდ უქნელესი შეხვედრები იქნება. გერმანელებთან იტალიამ დამტკიცა თავისი ძალა. პენალტი რომ დაუტანდა, ახლა არ იქნებოდნენ ამ დღეში. ამ გუნდის ერთადერთი ნაკლი ახლა ისაა, რომ მოედნის ცენტრში ბაჯოს დონის შემსრულებელი არა აქვთ. იტალიელებს პირველივე წუთებიდან ბრძოლა უნდა გაუშარიოთ და ინიციატივა არ დაუთმოთ. სხვაგვარად მათ ვერ მოერგვი. ჩვენების ტექნიკა მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ და, ბუნებრივია, ფიზიკური მომზადების დონემ თამაშის ბოლომდე ბრძოლის საშუალება უნდა მოგვცეს.

არსებობს მოსაზრება, რომ ფეხბურთის ბოლოდროინდელი გეზი ვარსკვლავების ინდივიდუალობას ჩრდილავს...

— ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები. სქემები ვერასდროს დაწინაურებს ვარსკვლავს. სწორედ ვარსკვლავი უფრო ააწივებს კოლექტიურ თამაშს. არგენტინა ძლიერი კოლექტივი იყო. ძალა და სიძალაზე კი მარადონას თამაშმა შესძინა. აი, ასე მშვენივრად უნდა შეეთვისოს ვარსკვლავი გუნდს.

ამ ჩემპიონატზე რაიმე ტაქტიკური სიახლე თუ დაინახეთ?

— ვერ ვიტყვი, რომ რაიმე პრინციპული სიახლე იყო. იტალიელებმა, მაგალითად, კლბებში დანერგული სისტემები შემოკეთა-თავაზეს ნაკრების დონეზე. ვერძოდ ის, რომ ოთხი ნახევარმცველის ოთხ მცველთან აქტიური ურთიერთმონაცვლეობით სათამაშო უპირატესობის მოპოვებას ცდილობენ. უკანა მცველმა საერთო ნახევარმცველი დედა დახიეს და ამით თამაში გააძლიერეს. დედა, საერთოდაც, ბრძოლის უნარით გამოირჩეული ფეხბურთელია და ნახევარდაცვა-ლა და დაცვაში კარგად უძღვება საქმეს, რაც გამოიყენა კიდევ მწვრთნელმა. თუმცა კი, არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ვარიანტი პრინციპულ სიახლედ არ ითვლება. ფეხბურთელის უნივერსალიზაციის პროცესი კარგა ხნის დაწყებულია. ახლა, უბრალოდ, მის დახვეწილ ვარიანტებს გვთავაზობს ესა თუ ის ნაკრები.

ჩემპიონატის დღეებში იქ მყოფ მწვრთნელთა და ფეხბურთელთა დიდი ნაწილი სხვადასხვა ტელეკომპანიებთან თუ გამოცემებთან თანამშრომლობს, რაც უსტოეობით კარგა ხნის დამკვიდრებული ტრადიციაა. ჩვენთან კი მსგავსი რამ არ ხდება. თქვენ რომ შემოგთავაზონ „სარბიელთან“ თანამშრომლობა, დაგვთანხმდებიან? რაც უნდა იყოს, მკითხველს სპეციალური სტის აზრი ყოველთვის აინტერესებს.

— ვთვლი, რომ ამგვარი თანამშრომლობა საინტერესოც არის და სასარგებლოც.

მე კი არა, მსოფლიო დონის ვარსკვლავები, პელე, ჯეკი ჩარლტონი, ლინკეერი, ბეკენ-ბაუერი, გულიტი და ბევრი სხვაც ტელეკომპანიებთან თანამშრომლობენ. ვფიქრობ, ეს ჩვენშიც სასურველი იქნებოდა. ვთქვათ, ახალგაზრდა, ჩიკაძის, ვიციანის, მაჩაიძის კომენტარი ამა თუ იმ თამაშზე ვულშემატკვრის ეს ნამდვილად დაინტერესებს და უფრო კარგადაც გააცნობს ტაქტიკურ თუ სხვა ცვლილებებში. თუ დრო და საშუალება მექნა, ინტერესით ვითანამშრომლებდი „სარბიელთან“.

ინგლისში მყოფი ჩვენი კორესპონდენტებისგან ვიცით, რომ მეტოქეთა ქიმაგებს შორის გულთბილი ურთიერთობა არცთუ იშვიათია. თქვენ თუ შეეხნართი ამას?

— ისევ ინგლის-შოტლანდიის შეხვედრას ვაგვისხვებ, რადგან ყველაზე დიდი აკოორტაია სწორედ ამ მატჩს უძღვოდა. თამაშის წინ კურნალ-გახუთებშიც წერდნენ და ტელევიზიითაც ის იხმოდა, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდათ ოდითგან ინგლისსა და შოტლანდიას, როგორ უმეობდნენ მუდამ ერთმანეთს. ზოგიერთი კომენტარი ხალხს პირდაპირ აქვსხება — დღეს ობა და არა ფეხბურთია. მაგრამ ეს ყველაფერი თამაშის დროს ყველამ გვერდზე გადადო და მატჩი მეტად საინტერესო კორექტულ ბრძოლაში ჩატარდა. შეხვედრის შემდეგ კორესპონდენტებიც კარგად ექცვიდნენ ერთმანეთს. ჩვენი მატჩის „ეკვლიდნენ“ 500 მეტრში გავედით. ამდენ ვულშემატკვრარში ნელ-ნელა მივდიოდით ძანქანისკენ და თავად შევესწართ ამ ყოველგვარ შოტლანდიელებს და ინგლისელებს ერთმანეთს ესუბრებოდნენ. დამარცხებული ვულშემატკვრები გამარჯვებულებს წარმატების ულოცავდნენ. ასევე იყო ყველა იმ შეხვედრის შემდეგ, რომელთანაც მე და ჩიკაძე დავსწარიოთ. სხვათა შორის, ჩემდა გასაკვირად, ინგლისში ბევრი რუსი ვულშემატკვარი ვნახე.

რუსები ახსენეთ და, იქნებ ისიც იცით, რატომ გააგდო რომანცევმა კირიაკოვი ნაკრებიდან?

— გახუთები წერდნენ, რომცევს კირიაკოვთან შეჯავ საუბარი ჰქონდა. ფეხბურთელი მწვრთნელს პრეტენციებს უყენებდა — არც კი გვესალმება, არ გველაპარაკება. მუდამ ჩაკეტილად ცხოვრობს, ჩვენ ჩვენთვის ვართ, ის კი თავისთვის და ასეთები. სინამდვილეში რა მოხდა, ამას ვერ გეტყვით.

ჩემპიონატს თითქმის ყველა ევროპელი სპეციალისტი ესწრება. რომელი მათგანთან ხომ არ გისაუბრებთ?

— იტალიარუსეთის შეხვედრისას ფაბიო კაპელოს მეზობლად ვიჯექით. მას მეკორებოც ახლდა. მათ შორის ერთ-ერთი ჩვენებური, ყოფილი ფეხბურთელი რევაზ ჭოხონელიც გახლდათ, რომელიც დიდი ხანა მისთანში ცხოვრობს. მისი დახმარებით კაპელომ ვუსაუბრეთ კიდევ ჩვენზე უფრო, ესენი თქვენი მომავალი მეტოქე ნაკრებების მთავარი მწვრთნელები არიანო. კაპელომ თავის მხრივ პატარა კომპლიმენტი გვითხრა — გამოვიდა, თქვენი ნაკრები კარგა ღამაზე ფეხბურთის თამაშობდა შესარჩევ ჯგუფში და მეგონა, ფინალში გახვიდოდა.

ახლა კაპელო „რეალიში“ იმუშავებს. რომელიმე ქარველი მოთამაშით ხომ არ დაინტერესებულა?

— არა, ამხე საუბარი არ ყოფილა. ტრიბუნაზე არსებული ვითარება ამის საშუალებას არ გვაძლევდა. უბრალოდ, ავტოგრაფი გამოვართეთ. იქვე ისხდნენ ბეკენბაუერი, ზეელერი, რუმენიგე, კაუხიო, ალტობელი.

კაპელოს აზრი როგორი იყო იტალიის ნაკრებზე?

— სხვათა შორის, ძალიან ლეღვად როცა რუსებმა ანგარიში გაუთანაბრეს, ძალიან ანერვიულდა. მას ვერ შევატყვე ასეთი რამ, რაც ბევრი მწვრთნელისთვის შეძლებოდა შემეტყო — ნეტავ საკიმ წავიგოსო. იმ დროს ვულშემატკვრისგან ვერ ვაარჩევდი, იტალიელებმა რომ მეორე გოლი გაიტანეს, ძალიან გაუხარდა, ფეხზე წამოგდა და ტამიც დასცხა.

საბარბაგეშვილი

სარბიელი

ტოტალიზატორი

ვეროპის ჩემპიონატი
მეოთხედფინალები
22 ივნისი

ინგლისი — ესპანეთი	(1,3 - 2,8)	1,4	3,1	4,7
საფრანგეთი — პოლანდია	(1,6 - 1,8)	2,2	2,6	2,4

23 ივნისი

გერმანია — ხორვატია	(1,35 - 2,5)	1,5	3,0	4,0
პორტუგალია — ჩეხეთი	(1,3 - 2,8)	1,4	3,1	4,7

ფრენილებში მითითებულია ნახევარფინალში გასვლის, ხოლო უკრჩხილებოდ — ძირითადი დროის კოეფიციენტები

ვეროპის ჩემპიონატის მოგების უსონები

ინგლისი	1,8	ესპანეთი	6,0
გერმანია	2,5	ხორვატია	6,0
საფრანგეთი	4,0	პორტუგალია	6,0
პოლანდია	5,0	ჩეხეთი	10,0

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადვილზე დაახუსტეთ

ფსონები მიიღება ყოველდღე კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში 13-დან 16 საათამდე საღამოს საათებში „ეპოკო“ იმუშავებს კინოთეატრის მცირე დარბაზში



„განცვი“ ხომ გახსნა...

ჯერ თბილისის „დინამოს“, შემდეგ რუსეთის „გორდას“, მერ თბილისის „შეჯარდენის“ თავდასხმული მამუკა ფანცულაია ფეხბურთის ვულშემატკვრებს ნამდვილად ენახსოვრებათ. მამუკა ერთ-ერთ კარგ თავდასხმულად ითვლებოდა ჩვენში, მაგრამ დრო რომ აირია, არც „ფანცულა“ ვერ ნერვები, ნეკისყოფა და მეოთხე ეროვნული ჩემპიონატის შემდეგ დიდი ფეხბურთის შეეშა. ერთი ხანობა ვარაუდებდა, რომ შეემატკვრებოდა მისთვის უწყველი რეკიმი ცხოვრებამ კი ფეხბურთელი საკმაოდ დაამძია. საკმაოდ მოსუქებულმა და რიტმიდან ამოვანდილმა ფეხბურთის ბოლომდე ვერ უნა და მინი-ფეხბურთში სცადა ბედი. მუშტაიდის წიდან მინდორზეც დადიოდა სათამაშოდ შაბათ-კვირას. თითქოს არც აპირებდა დიდი ფეხბურთში დაბრუნებას. ვულშემატკვრეობაც მას ფეხბურთისთვის დაკარგულად თვლიდნენ, მაგრამ ფანცულაიამ სხვაგვარად გასაჯა. არ არის გამორიცხული, ახალი სეზონიდან მამუკა ისევ საფეხბურთო მინდორზე ვიხილოთ. ამის თქმის უფლებას ის ვეძიებს, რომ შეეიტყვეთ, ზეგლდის „ოდიშის“ ახალ მწვრთნელს მართავს ზურცილავას და კლბის ხელმძღვანელებს, რომლებსაც სოლიდური გუნდის გაკეთება განუზრახავთ, მამუკა ფანცულაია მოეწყვეთათ. მას ფეხბურთში დაბრუნების შანსი მთავრად, ოღონდ ზურცილავას ერთი მოთხოვნაც დაურთავს: ჩვენთან რომ ჩამოხვალ, 78 კილოგრამს უნდა იქონიდეო, ამას რომ ჩამოხვალ, ამას ისიც დავმატებ, რომ ვარჯიშებზე სიქსს გაავლიო და 4 კილოგრამს დაგვაგებინებ, რადგან 74 შენთვის იდეალური სათამაშო წონაა. მოკლედ, ადვილმა და ხვალეო, პოდა, ახალი საფეხბურთო ჩემპიონატიც მალე გაჩაღდება და ვნახოთ, ისევ თუ შეძლებს მამუკა ფანცულაია წინანდელით გოლების გატანას საამისო გამოცდილება და ნიჭი მას ნამდვილად არ აკლია, ხოლო თუ ყოველივე ამას მონდომებს წაამატებს და დაუზოგავად ივარჯიშებს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, „ფანცულა“ კვლავაც იტყვის თავის სათქმელს.

სუპერმარკეტის ბათუმში გაიხარება

არადა, თავდაპირველად ნეიტრალურ მოედანზე იყო ნაგარაუდები, მაგრამ თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელებმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ნოდარ ახალაიას მიმართეს, მატჩის რომ შეტი ინტერესი ჰქონდეს ბათუმში ვითამაშოთო. „დინამოს“ და ბათუმის ეს შეხვედრა 28 ივლისს გაიმართება.

უკველია, ამ მატჩის ბათუმში ჩატარება დადგა წაადგება აჭარაში ფეხბურთის განვითარებას, რითაც ასე დაინტერესებულია აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე სწორედ მისი თანადგომის წყალობითაა, რომ გუნდი თანდათან ძლიერდება. დაიკვება ბაზის აშენება, გრძელდება სტადიონის რეკონსტრუქცია, რომელიც თავისთვის თანის ვითამაშების დაწყებამდე უნდა მოესწროს. როგორც შეეიტყვეთ, შესაძლოა, საქართველოს ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის ერთ-ერთი შეხვედრა ბათუმში გამართოს. ყოველ შემთხვევაში, აჭარის თავაკის დაინტერესება სტადიონის უკვე დაეტო და უკვას ექსპერტების აზრით, იქ საერთაშორისო შეხვედრების ჩატარება საუკუნოდ შესაძლებელია.

„რაც უფრო მეტად განვითარდება სპორტი რეგიონებში, ეს ქართულ სპორტს უფრო გააძლიერებს“ — ბრძანა ბატონმა ასლანმა შარშან, 24 აგვისტოს, იუკოსლავიის „ობი-ლინთან“ ბათუმელთა გამარჯვების შემდეგ და საამისოდ ირეჯება კიდევ.

სუპერმარკეტი

პრინტირება
ეულტიმედი
პროგრამები
როგორც ნაღდი
ანგარამისწორე-

პრინტირება
ბით ისე გადარიცხეთ

გარანტიის შემდგომი მომსახურება:
93-91-03
37-12-96

თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №16 (სასტუმრო „აფხაზეთის“ პირდაპირ)
II სართული, ოთახები 1104, 1105

კულტურის ცენტრი „ვაზბეგი“
გვიწვევთ
ვეროპის ჩემპიონატის მატჩების დიდ ეკრანზე სანახავად!
მისამართი:
აბაშიძის № 26
(ყოფილი ბარსოვის № 128)
ტელ.: 294904

იყიდება
თეთრი, გამჭვირვალე ორგანული მინა 75 X 75
ტელ.: 95 22 56 (ხაღამოს)



რატა დროს?!

ფორა-ს 1995-96 წლების პირველობა

„ბ1“ ჯგუფი 1995

23.09	გერმანია	28:17	ჩეხეთი
15.10	საქართველო	14:3	გერმანია
29.10	დანია	20:20	პოლანდია
19.11	დანია	-	საქართველო
24.11	პოლანდია	55:3	საქართველო

1996

30.03	ჩეხეთი	3:26	პოლანდია
12.04	საქართველო	20:3	ჩეხეთი
21.04	პოლანდია	6:5	გერმანია
27.04	ჩეხეთი	39:6	დანია
12.05	გერმანია	16:11	დანია

ო	მ	ფ	ბ	ქ		
პოლანდია	4	3	1	0	107:31	7
საქართველო	4	3	0	1	37:61	6
გერმანია	4	2	0	2	52:48	4
ჩეხეთი	4	1	0	3	62:80	2
დანია	4	0	1	3	37:75	0

რაზმის ზოგი ქვეყნის მედია წყალობს, ზოგისა — არა. იქ, სადაც წყალობენ, შინაურ შეჯიბრებებს საკადრისად აშუქებენ, საერთაშორისო სიახლეებიდან კი მხოლოდ იმას აქცევენ ყურადღებას, რაც ფრიადი დონისაა.

ე.წ. ფორა-ს პირველობა, რომელიც საქართველოს კაცთა ნაკრების ჯერჯერობით ერთადერთი სარბილეობაა, არც რომელიმე ქვეყნის შინაური ჩემპიონატი და არც მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრები, რის გამოც მისი არათუ ამბების, მშრალი ანგარიშების შეტყობაც კი დროულად ვერ ხერხდება.

აი, წლეულის ფორა-ს პირველობაც კარგა ხნის დამთავრებულია, მაგრამ ახლავალი მოვიდით ყველა ანგარიში, რამაც ცხრილიც შეგადგენინა. მასში თვალნათლივ ჩანს, რომ ქართველ „ბორჯღალოსნებს“ მართლაც მეორე, გამსვლელი ადგილი დაუკუბრუნათ „ბ1“ ჯგუფში, მაგრამ რა მათი ბრალია, თუ უპირა ფორა-ს მორთვი ხუშტურის გამო ვერსად აღზევებულან.

საქმე ისაა, რომ ფორა-ს საგაიხი ჩემპიონატი იმავდროულად 1999 წლის მსოფლიო თასის შესარჩევ ტურნირის წინასწარი შეჯიბრებაა, რის გამოც ფორა-ს

გაუერთიანებია „ბ1“, „ბ2“ და „ბ3“ ჯგუფების ცხრილები, გუნდების უფროს-უმცროსობა მიახლოებით გაურკვევია, 1-დან 12-მდე გადუნებამაც ქვეყნები და 1996-97 წლების სეზონისთვის ითვ ტოლძალვან ქვეჯგუფად დაუყვია.

ამ გარდაქმნა-გადანაწილების შედეგად საქართველოს მეტოქეებად რუსეთი და ჩეხეთი შეხვდა. შეჯიბრი ერთ წრედ გაიმართება. რუსებს, როგორც ჯგუფის ფავორიტებს, სტუმრად ვეთამაშებით, ჩვენებს ანუ მასწავლებს კი — ისევ შინ. ამ მატჩების თარიღები თვის ბოლოს გამოცხადდება მაროკოში, სადაც ფორა-ს წევრთა თათბირი გაიმართება.

ზაზა ზხაკაძე

ნაირ-ნაირი


აპტობროლა ხუთშაბათს ცაზე მხის გავარდნასავით გამოვიდა „არნოს“ განცხადება, ფორმულა-1-ის 1997 წლის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ამ კლასთან კავშირს ვნევეტო. საქმე ისაა, რომ „არნოს“ ძრავებით ასპარეზობენ „უილიამსიცი“ და „ბენეტონი“, ამგვარ ძრავიანი მანქანებით მრბოლელები სამჯერ გამხდარან მსოფლიოს ჩემპიონები, ოთხჯერ კი გუნდებს მოუგიათ კონსტრუქტორთა პირველობა.

მელაოსნობა ორშაბათს სამხრეთი აფრიკის კვაზულუ-ნატალში, დურბანდთან პიტერმარცბურგამდე გაიმართა 87-კილომეტრიანი ტრადიციული გარბენი, „ამანანტა მარათონი“ რომ შექვია. გამოსწორებულ რასისტა ქვეყანაში ასპარეზობას და ისიც ამგვარ სახელიანს, აბა, როგორ დააკლდებოდნენ რუსები და დამტრი გრიშინმა 75 წლით აჯობა იქაურ ნიკ ბესთერს. გამარჯვებულის დროა 5:29.33. ქალთაგან საუკეთესო შედეგი ამერიკელ ან თრეისონს აღმოაჩნდა 6:13.23.

ბალახის კოკეი პაკისტანში მორიგი შინაომი კი დასრულდა — ნაკრების მენეჯერი და მწვრთნელი მოხსნეს, ხოლო მოთამაშეებმა გაფიცვა შეწყვიტეს. — მაგრამ ყველაფერი კარგად მაინც ვერაა, რადგანც მუხთაბა პაკის მამებმა ამბოხებულ მოთამაშეთა იდეოლოგი — ნაკრების კაპიტანი შაბაზ ამედი გადააყენეს და მის ნაცვლად მეკარე მანსურ ამედი დაინაწიურეს. ამით განაწიუნებულმა შაბაზმა ფსიქოლოგიურად გადალდა მომიზეზება და თუმც მასური ბევრს ეხვეწა, გუნდს მაინც არ გაყვა ინგლისსა და პოლანდიის, სადაც პაკისტანს ოლიმპიადისწინა აზიანაკური ტურნირები ელოდა. პოდა, ულადურო გუნდი ორჯერ სახაროდ დაანარია გერმანიამ: ინგლისში, მილთონ-კინში ოლიმპიურმა ჩემპიონებმა 5:1 მოუგეს მსოფლიო ჩემპიონებს, ამსტერდამში (პოლანდია) კი — 6:1.

რუსეთი ატლანტაში 410 სპორტსმენს აგზავნის, ჩინეთი — 310-ს. რუსები მინიმუმ 30 ოქროს გეგმავენ, ჩინეთის გუნდში კი ქალები თითქმის ორჯერ სჭარბობენ ვაჟებს. 32 რუსი მარეზონის ოლიმპიადის პრიზიორია, მაგრამ ამ ქვეყნის პოპ-ს პრეზიდენტი ვიტალი სმირონოვ ისე აწუხებს ატლანტის ჰავა და სპორტსმენთა სამოსახლო, რომ ამ პრობლემების მოსაგვარებლად სპორტსმენები ხუან ანტონიო სამარაჩის წინაშე აპირებს საკითხის დაყენებას.

შაბათს ამერიკელმა როი ჯოუნზმა 47 წლის იტალიელი კალათბურთი „მინორ“ (მეორეხარისხის) ლიგის გუნდ „პარაკუდაზში“, იმავე საღამოს კი შეინარჩუნა კრივის საერთაშორისო ფედერაციის (IFC) ზესამუალონოსანი ჩემპიონის სარტული. კრივი ჯოუნზმა მე-11 რაუნდში დასცა კანადელი პრეტენდენტი ერიკ ლუკასი, კალათბურთში კი „პოინტ-გარად“ (გამთამაშებლად) თამაშობს.



როგორ უიგბლდონი ახლკ მუსტერსკა ჯიუსკლიმას

ესლა აკლდათ უიგბლდონის ორგანიზატორებს.

თავიდანვე რომ იცოდნენ, არგენტინელი გამრიულა საბატინი ტრავმის გამო ვერ ენევიდათ, განთავსებენ არც ჩაურთავთ.

მერე უკვე ნილსკრის შემდეგ რომ დაეთესათ ჯენიფერ კაპრიატი, აქაო და ფორმაში ვერა ვარო, არც ამით დაშავებულა ბევრი რამ;

მაგრამ ახლა ტრავმირებული თომას მუსტერსკი რომ ვეღარ ითამაშებს, ეს კი უკვე პრობლემას წარმოშობს, რადგან ავსტრიელი თომის კარუხო მე-7 ნომრად იყო განთესილი.

უიგბლდონელი მამები დილემის წინაშე დადგებოდნენ: ან სატურნირო ბადე თავიდან უნდა შედგინონ და ყველაფერი არი-დარიონ, ანაც შეეგუონ იმ აზრს, რომ მუსტერსკის მინი-ჯგუფს ლიდერი აღარ ეყოლება და იქედან მოთხოვნილნი ალაოთ ავსტრიელი მისხალ მტხი (10) სულ გრია-გრიალით გავა.

მუსტერსკი დაშვდა პალეს (გერმანია) მოსათელი შეჯიბრის მეორე ნრეში, რომელშიც ახალგაზრდულ ბრედ სითევის ეთამაშებოდა. თომასმა 6:4, 2:6, 1:6 ნა-

აგო, პირველ ხელში ორჯერაც უწამლეს, ხოლო იმის გამო, უიგბლდონში რომ ვერ იასპარეზებს, დიდად დაწყდა გული, კინაიდან წელს, მისივე თქმით, ბალახის ჩოგბურთი დაჭაბნიკა და კრიტიკოსების თვისაც სურდა იმის დამტკიცება, რომ ამ საფარზეც კარგა და ტყუილად როდია მსოფლიო კლასიფიკაციის მეორე ნომერი

ამავე შეჯიბრში მონაწილეობს საფრანკეთის ჩემპიონი, სოჭელი ვევეტი კაფენიკოვიც, ვისაც ერთი კვირა მშობლიურ ქალაქში დაუსვენია. უწინამ გერმანიაში მეორე თამაშიც მოიგო, ამჯერად ზენი ბაბველ ბაირონ ბლეტიან ნა, 6:4, კიდევ ორჯერ გაიმარჯვა ჯიმ კურიეკი (აშშ) შარშან სუსტად რომ თამაშობდა ბალახზე. ამა ჯერ 6:2, 6:2 გათამა რუმინელი ადრიან ვინეა, მერე კი გერმანელი კიფერს ნა, 6:4 აჯობა. სამაგიეროდ, გავარდა ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი, შვეიცარიელი მარკ როსე. მას 4:6, 6:7, 7:6 (7-0) აჯობა ჩეხმა დანიელ ვაჩეკმა.

ისტობრში (სასექსი, ინგლისი) მოსპარევე ქალებს ხუთშაბათს მოთხოვნილნი უნდა გაემართათ, მაგრამ გადადებულმა წვიმამ ყველა თამაში ჩაშალა.

უცხო ხილი გოლფი

უცხოელი მიმომხილველები გვარწმუნებენ, ეს გემორბაო.

37 წლის ამერიკელ სთივ ჯოუნზს წინა ჯგუფ პროფ-ტურის შეჯიბრი ამ შვიდი წლის წინ მოეგო, მნიშვნელოვან ტურნირში, ე.წ. მიჯორში კი აქამდე ვერასოდეს გაემარჯვა; სამტოკო ავარიამი არათითი დაეშავებინა და სამი საგოლფო სეზონიც გასცდენოდა, მაგრამ იმდენი იკითხა მასზე უარესად ნა-ავარიევი დიდი ჩემპიონის, ბენ პოუკანის ავტო-ბიოგრაფია, რომ შთაგონებული ადგა და გაიმარჯვა აშშ-ის ღია პირველობაში, წლის მეორე დიდი შეჯიბრი რომ იყო.



ეს ტურნირი წინა კვირაში, 13-16 ივნისს გაიმართა ოქტენდ პილზის (დეტროიტი) გოლფ-კლუბში, რომლის გასაც იმავე პოუკანმა სირთულისა და სიმუხლის გამო მოსწრებულად უნდა ურჩული. ამ, 1917 წელს მონაწილეობი გმის ნორმა (სამაგალითო შედეგი) 70 დარტყმა, მაგრამ სარეკორდო 65 დარტყმისთვის მხოლოდ უდიდეს მოთამაშეებს მიუღწევიათ. განსაკუთრებით რთული და ვერაგი ბოლო, მე-18 ორმო ყოფილა. მისი იერიშისას ნორმაში თუ ჩაეტიე, თუმც დიდი მიღწევა იქნება.

სთივ ჯოუნზმა ბოლო ნრეში სწორედ რომ ეს შვიდო, თუმც კი ერთობ ღელავდა, რადგან მშობილი და მდევეთომ ლემანი, მასავით მორწმუნე რომაა და მთელი შეჯიბრიც რომ ამხნევებდა, მამა-ზეციერს ჩვენი წარმატება სწადიო, მასთან თამაშობდა წყვილად და დევის ლეგ მესამესაც მის წინ, მე-18 ორმოზე მისცარეოდა ხელი.

ჯოუნზმა ბოლო ბურთი 30 სანტიმეტრიდან გაგორებთი წაგლო, ბოლო წრეს 69 დარტყმა ამყოფინა, ოთხ წრეს — 278 (ნორმაზე 2-ით უკეთესი) და აჯლდოდ 425 თასი დოლარიც მიითვალა. ლემანმა და ლე-მესამემ 279 დარტყმით მეორე ადგილი გაიყვეს.

უშტრი ბუნტური

მელაოსნობა



ყველას, ყველას, ყველას...

კუ სირბილის მოყვარულთა კლუბია. მან ჯერ კიდევ 1970-იან წლებში გამოუცხადა ბრძოლა პირობინამის — უმორაობას, მოდუნებასა და ავადმყოფობას. გულის გაახალგაზრდავებულ სნეულებებს, მეტადრე კი მხოკარდულ ინფარტს.

კუ ყველაზე წელა, მაგრამ ყველაზე ბევრს დადის. სამაგიეროდ, ყველაზე დიდხანს ცოცხლობს. ამიტომაც არჩეულ იქნა ეს ცხოველი კლუბის სიმბოლოდ.

კუ სირბილით გაჯანსაღების მეთოდების ძიებისა და გამოცდილების გროვების 20 წელია. მიუხედავად მძიმე სიტუაციურ-ეკონომიკური პირობებისა, კლუბის ბრიტეს ვარჯიში არასოდეს შეუწყვეტია.

კუს წევრები „ლოკომოტივის“ სტადიონის შემოგარენში გაკვალულ „ჯუმბერის ბილიკს“ და კუს ტმის მიდამოებში დარბიან და ბუნების ნიაღში იკაუვენ ჯანმრთელობას.

კუს სირბილის პროპაგანდისტების მრავალი მასობრივი ღონისძიება გაუმართავს. რუსთავ — თბილისის გარბენი მოწყობა, თბილის — ერთნისა ორჯერ, ერევან — თბილისის, თბილის — გორის, ცხინვალ — თბილისის, პათუმ — თბილისის, თბილის — ჰაზბეგ — დუშეთ — საგარეჯო — თელავ — თბილისისა თითო-ჯერ. ორჯერაც კუს მართონი გამართა. კლუბის წევრებს უმონაწილეობით არხანგელსკის, მოსკოვის, რივის მარაიონებშიც და კიდევ ბევრ სხვა უცხოურ შეჯიბრშიც.

კუს ხელმძღვანეობა თავს მოვალედ თვლის ამცნოს მოსახლეობას, რომ კლუბი აახლებს ვარჯიშს.

ყველას, ვისაც კი სურს ინდივიდუალურად ან კოლექტიურად დაეწაფოს სიცოცხლის ელექსირს — მოძრაობასა და ძუნძული სირბილს და ჯერაც ყოყმანობს, ეურჩეთ, რომ გაიმეტოს თითო საათი და დაუყოვნებლივ დაიწყოს ვარჯიში; ამით ხომ ძველბურ სიმხნევეს დაიბრუნებს და ისე გაიკაუებს წერვულ სისტემას, რომ დღევანდელ მძიმე ყოფასაც იოლად გადაიტანს.

კუს მიზანია შეძლებისდაგვარად ბევრი სირბილის მოყვარულის აყოლიება, მათი მეთოდური დახმარება, კონსულტაცია, გამოცდილების გაზიარება, ხოლო ახალბედებისთვის სისტემატური ვარჯიშით ჯანმრთელობისა და სიმხნევის ზენიტის მიღწევა — მართაონულ გარენში მონაწილეობა.

ჯუმაპერ ხუბუპა

სირბილის მოყვარულთა კლუბ კუს დამაარებელი და მწვრთნელი

ფრენბურთი



დამთავრდა მსოფლიო ლიგის ჯგუფური თამაშები. შედეგი დიდდ მოულოდნელი არ ყოფილა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მესამე ჯგუფიდან სპეცილისტები ფინალში იაპონიის გასვლას ვარაუდობდნენ.

„ბ“ ჯგუფში დიდი მოულოდნელობა იყო ესპანელთა კარგი თამაში, რომლებმაც არგენტინისა და კუბის გარდა თვით ჯგუფის უცილო-

პინ თქვა ჩინეთის

ბელი ფავორიტი ბრაზილიაც დაამარცხეს 3:1. საბოლოოდ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, თუმც ესპანელებისაგან სამომავლოდ ბევრს უნდა ველოდეთ.

„ბ“ ჯგუფში მსოფლიო ჩემპიონმა იტალიამ და ვიცი-ჩემპიონმა პოლანდიამ შანსი არ დაუტოვეს არც ბულგარეთსა და არც საბერძნეთს, რომელიც აშკარად ყველაზე სუსტი იყო ლიგაში. ერთადერთი მარცხი იტალიელებმა პოლანდიისთან ინენის, ისიც მაშინ, როცა პირველი ადგილის ბედი გადაწყვეტილი იყო.

„ბ“ ჯგუფში მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა ტურნირში მონაწილეობას თავი აარიდეს, რუსებს პრობლემები არ ჰქონია. აი, მეორე ადგილისთვის კი მძაფრი ბრძოლა გაიმართა. თავიდან იაპონელები ადვილად უტებდნენ ჩინელებს, მაგრამ შედეგად თამაში ჩინელთა უპირატესობით წარმატდა. ყველაფერი ბოლო ტურში გადაწყვიტა. ჩინეთმა დაამარცხა იაპონია 3:2 (15:13, 17:16, 11:15, 3:15, 15:13) და ფინალის საგზური მოიპოვა.

მსოფლიო ლიგის ფინალში, რომელიც ორშაბათს დაიწევა და შაბათად გას-

ფრენბურთი



ტანს, ითამაშებენ ბრაზილია, კუბა, იტალია, პოლანდია, რუსეთი და ჩინეთი.

კოტა მგალობლიოვილი

„ა“ ჯგუფი	მ	ფ	ხელი
ბრაზილია	10	2	34:13
კუბა	6	6	24:24
არგენტინა	4	8	22:26
ესპანეთი	4	8	13:30
„ბ“ ჯგუფი	მ	ფ	ხელი
იტალია	11	1	34:10
პოლანდია	8	4	28:13
ბულგარეთი	4	8	17:25
საბერძნეთი	1	11	4:35
„ბ“ ჯგუფი	მ	ფ	ხელი
რუსეთი	12	0	35:7
ჩინეთი	3	9	17:31
იაპონია	3	9	16:31
აშშ	-	-	-

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის ყოველდღე, კვირის გარდა. ინტექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ შიპაშვილი
რედაქტორი
თამაზ შიპაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაგვაშვილი
პასტანა გვიკაძე
ზაალ გიბინიაშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა აპარცხელია
მირაბ რაბიშვილი
კომერციული დირექტორი
გიორგი ოქროშვილი

გამომცემელი
ზურაბ შიპაშვილი

დამფუძნებელი: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარტი“**
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გაზიარებებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29